თექის ოსტატი

სახელწოდება: თექის ოსტატი

სარეგისტრაციო ნომერი: 02104-3

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- თექის ოსტატის პროფესიული სტანდარტი
-

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება.

პროგრამის მიზანი:

მოამზადოს თექის ოსტატი, სხვადასხვატექნოლოგიური ხერხების გამოყენებით, ქიმიურიან ბუნებრივი საღებავებით შეღებილი მატყლის საშუალებით კურსდამთავრებულმა შეძლოსტრადიციული და თანამედროვე ხელნაკეთინივთების/პროდუქციის დამზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაოს ორგანიზება
- შრომის უსაფრთხოების დაცვათექის წარმოებისას
- ნედლეულის (მატყლის) მომზადება
- ესკიზის შექმნა
- მატყლის დაფენა
- მატყლის თელვა სიბრტყეზე
- მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე

პროგრამისმოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 99კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 18 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		**სავალდებულო პროფესიული მოდულები**		**არჩევითი მოდული/მოდულები**	
დასახელება	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**	**დასახელება**	**კრედიტი**
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-თექის ოსტატი	2	ბუნებრივი საღებავებით ღებვა - ქართული ტრადიციული მეთოდით	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-თექის ოსტატი	8	დეკორატიული აბრეშუმის ქაღალდის დამზადება	3

საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი- თექისოსტატი	5	კომპოზიციის ძირითადი პრინციპები	5
მეწარმეობა	4	სამუშაოს ორგანიზება - თექის ოსტატისთვის	2	სამოსის აქსესუარების კერვა	4
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	მატყლის მომზადება	5		
უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4	ესკიზის შექმნა	5		
ქართული ენა A2	15	მატყლის თელვა სიბრტყეზე	8		
სამოქალაქო განათლება	2	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე	8		
		შრომის უსაფრთხოების დაცვა თექის წარმოებისას	2		
		ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	5		
სულ:	**32**	**სულ:**	**50**	**სულ:**	**17**

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,აისი“პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზე დგება კომისიის ოქმი.